ოქმი:**ო63. 63233623**
თარიღი:**28/12/2023**

სამტრედიის მუნიციპალური

გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ო ქ მ ი N03

ქ. სამტრედია

28 დეკემბერი, 2023 წელი

2023 წლის 28 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, ნათია პაპავას ხელმძღვანელობით, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

ნათია პაპავა, ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია, ტარიელ ცომაია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, თინათინ ხარძიანი, თამილა კეკელიძე, მაკა ხარებავა, ლევან გაბეჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. **სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, 2023 წელს განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.**

   /მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნათია პაპავა /

2. **სხვადასხვა.**

კენჭისყრის შედეგად, (12 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, ნათია პაპავამ, ისაუბრა სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, 2023 წელს განხორციელებული ღონისძიებების

შესახებ. მან აღნიშნა, რომ საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ხორციელდება არა მხოლოდ საბჭოს მიერ, არამედ მუნიციპალიტეტის ,,ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის“, ,,განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისა“ და ,,ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურ“-ების მიერ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მზადაა ,,სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ანგარიში“, განხორციელებული საქმიანობის შესახებ, რომლითაც წარვდგებით საკრებულოს წინაშე.

დღეს კი მინდა შევაჯამოთ, საბჭოს საქმიანობა მიმდინარე წელს და დავსახოთ მიზნები 2024 წლისათვის.

მიმდინარე წლის თებერვალ-მარტის თვეში ვესწრებოდით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართულ სოფლის კრებებს, რომელზეც ხდებოდა პრიორიტეტების გამოვლენა. აღსანიშნავია, რომ ქალების ჩართულობის დონე ყოველწლიურად იზრდება და ბევრი ინიციატივის ავტორიც ქალია.

საბჭო შეუერთდა აუტისტური სპექტრის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს. ასევე ყოველწლიურად ვღებულობთ მონაწილეობას დასუფთავების აქციაში.

საბჭოს ინიციატივით, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაიმართა შეხვედრა ახალგაზრდული პარლამენტის წევრებთან და საჯარო სკოლის უფროსკლასელებთან. შეხვედრას უძღვებოდა საბჭოს წევრი, გაზეთ ,,სამტრედიის მაცნეს“ პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა. შეხვედრის თემა იყო: ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 105-ე წელი“. მომხსენებელმა ისაუბრა პირველ კონსტიტუციაზე, ტოლერანტობასა და ფემინის ქალებზე.

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, მოვიძიეთ სპონსორი, რომლის დახმარებითაც შევძელით რომ ტკბილეულით გავმასპინძლებოდით პატარებს.

წლის განმავლობაში არაერთი შეხვედრა გავმართეთ საბავშვო ბაღის აღმზრდელებთან და მშობლებთან, რომლებსაც ვესაუბრეთ ძალადობაზე, ძალადობის ფორმებზე და თავდაცვის მექანიზმებზე.

არაერთ ძალადობის მსხვერპლ ქალს გავუწიეთ შუამდგომლობა და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით მიიღეს უფასო იურიდიული და ფსიქოლოგიური მომსახურება, გადაეცათ სასურსათო ამანათი და **SOS** აპლიკაციით ჩატვირთული მობილური ტელეფონები. ასევე ისარგებლეს სარეაბილიტაციო ცენტრით.

საბჭოს ჩართულობით და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით იმართებოდა შეხვედრები, როგორც საბჭოს წევრებთან ასევე საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებთან, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

საბჭოს ინიციატივით, მივმართეთ საკრებულოს თავმჯდომარეს, რათა საკრებულოს სამართლებრივ აქტებში, გათვალისწინებული ყოფილიყო დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები.

მონაწილეობა მივიღეთ ვარდისფერი ოქტომბერის (ძუძუს კიბოს სკრინინგი) კამპანიაში. ცნობადობის ამაღლების მიზნით დავარიგეთ ფლაერები და მოვაწყვეთ მსვლელობა ქალაქის ტერიტორიაზე.

2023 წლის 9 ოქტომბერს, ,,ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“ ევროპულ ქარტიას ჩვენი მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. დოკუმენტზე ხელის მოწერით, ჩვენი მუნიციპალიტეტის მერმა -დავით ბახტაძემ, დაადასტურა გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვის მზაობა და მხარდაჭერა ჩვენ მუნიციპალიტეტში.

ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16 დღიან კამპანიას, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო სხვადასხვა აქტივობებით შეუერთდა:

ცნობადობის ამაღლების მიზნით მოეწყო საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მერიის და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან.

გავავრცელეთ პოსტერები.

ვუჩვენეთ ფილმი: ,,უთქმელი ისტორიები“;

მოვაწყვეთ შეხვედრა ფსიქოლოგ ლელა სტურუასთან (თემა: ძალადობა და სტრესის მართვა);

ჩავატარეთ გამოკითხვა, ძალადობის თემასთან დაკავშირებით. გამოკითხვაში 74-მა რესპოდენტმა მიიღო მონაწილეობა (ქალი-49, კაცი-25). გამოგიცდიათ თუ არა რომელიმე სახის ძალადობა - დიახ 24 (ქალი - 22, კაცი -2), ფიზიკური (ქალი -1, კაცი -0), ეკონომიკური (ქალი- 2, კაცი 2), სექსუალური (ქალი -2, კაცი -1), ფსიქოლოგიური (ქალი-19, კაცი- 4), იძულება(ქალი-4, კაცი- 6), უგულვებელყოფა (ქალი-10, კაცი- 3). გამოკითხვის ფორმატი ითვალისწინებდა კონფიდენციალურობის დაცვას. აქედან გამომდინარე, რესპოდენტები უფრო გახსნილები და გულწრფელები იყვნენ.

მომხსენებელმა, ასევე მიაწოდა საბჭს წევრებს ინფორმაცია საქართველოში არსებული ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკის შესახებ.

სხდომის დასასრულს, მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს ყველა წევრს ჩართულობისა და აქტიურობისათვის. აღნიშნა, რომ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ძალ-ღონე არ დაგვიშურებია, მაგრამ იმედს გამოვთქვავ, წლების განმავლობაში მიღებულ გამოცდილებებს გავითვალისწინებთ, 2024 წელს გაცილებით მეტს შევძლებთ და საბჭოს საქმიანობა გაცილებით პროდუქტიული იქნება.

ინფორმაცია მიღებულია ცნობად.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულია.

სხდომის მდივანი: თამილა კეკელიძე

ნათია პაპავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალური გენდერული
თანასწორობის საბჭო-სამტრედიის მუნიციპალური
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი